ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.442136238**

თარიღი:**28/12/2021**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით სრიგპ-ის ფარგლებში იდეების შესყიდვის მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ 2021 წლის 30 ნოემბრის №ბ44.44213341 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1 პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საპროექტო მომსახურების იდეის შესყიდვის საკონკურსო კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის ოქმი №1-ის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება 2021 წლის 30 ნოემბრის №ბ44.44213341 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი №1-ის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით სრიგპ-ის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში, რუას ქუჩის № 47-ის მიმდებარედ არსებული ისტორიული აბანოებისა და აუთვისებელი ტერიტორიების განახლება-რეაბილიტაციის კონცეფციის „კონკურსის პროგრამა და პირობები“) მე-6 მუხლის 6.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით:

„6.1. განაცხადების მიღება დაიწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდ Kutaisi.gov.ge და Facebook გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსების დღიდან და დასრულდება 2022 წლის **17 იანვრის 15:00 საათზე.“**

2. შევიდეს ცვლილება 2021 წლის 30 ნოემბრის №ბ44.44213341 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი №2-ის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით სრიგპ-ის ფარგლებში ქალაქ ქუთაისის შემოსასვლელებზე (4 ლოკაცია) თემატური ინსტალაციების განთავსების კონცეფციის „კონკურსის პროგრამა და პირობები“) მე-6 მუხლის 6.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით:

„6.1. განაცხადების მიღება დაიწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდ Kutaisi.gov.ge და Facebook გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსების დღიდან და დასრულდება 2022 წლის **17 იანვრის 15:00 საათზე.“**

15. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

17. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონი დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი